უკრაინის ელჩი იგორ დოლგოვი ოზურგეთში

გასულ პარასკევს, უკრაინის ელჩი **იგორ დოლგოვი** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს **კონსტანტინე შარაშენიძეს** შეხვდა.

მხარეები ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და კულტურის სფეროების განვითარების მიმართულებით, ურთიერთთანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

ვიზიტის ფარგლებში იგორ დოლგოვი ოზურგეთში მცირე საწარმოებს და კულტურულ ობიექტებს დაათვალიერებს.

შემდეგ უკრაინის ელჩი ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრს ეწვია, სადაც სახელმწიფო ანსამბლმა გურიამ“, ფოლკლორულმა ანსამბლებმა„ შვიდკაცა,“„ვახტანგური“, „რეხეული“ კონცერტი გამართეს.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 4 (10342) 27 იანვარი, 2020 წ. ფასი 60 თეთრი.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში ფოლკლორის დარბაზი გაიხსნა

ალიონი. 20 იანვარს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეორე კორპუსში ფოლკლორის დარბაზი გაიხსნა.

საზეიმო ცერემონიას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე ესწრებოდა.

დარბაზის სარესტავრაციო სამუშაოები ფონდ „ქართული გალობის“ და მეღვინეობა „შილდა"-ს ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა.

–„გავხსენით ფოლკლორის დარბაზი, რომელსაც არტემ ერქომაიშვილის სახელი მიენიჭა .ულამაზესი, მეოცე საუკუნის დასაწყისის კედლის მხატვრობით და, რაც მთავარია, უნიკალური არქივით.

გელით ყველას: ფოლკლორისტებს, მგალობლებს, მეცნიერებს და უბრალოდ ამ დიდი საქმის გულშემატკივრებს, რასაც ქართული ფოლკლორი ჰქვია “– წერს ფონდ „ქართული გალობის“ თავმჯდომარე ნანა გოთუა საკუთარ ფეისბუქგვერდზე.

იკითხეთ გაზეთი „ალიონი“
საცალო ფასი – 60 თეთრი
ხელმოწერა:
6 თვით – 15 ლარი
ერთი წლით – 30 ლარი

ოზურგეთის მერი ნასაკირალელებს სოფლის პროგრამის გარდა სხვა ბევრი პრობლემის მოგვარებას დაპირდა

ალიონი. – ასი პარტია ვერ გააკეთებდა იმას, რაც დაბა ნასაკირალში ბოლო პერიოდში გაკეთდა: გზები, ქუჩების განათება, გაზი, სოფლის ამბულატორია. თავდადებულად მუშაობენ გუბერნატორი და მერი. ხელმძღვანელები ადრეც იყვნენ, მოვიდოდნენ, დაგვპირდებოდნენ, დაყრიდნენ ერთ მანქანა ხრეშსს და მორჩა. მარტო ჩვენს უბანში არაა გაზი შემოყვანილი (სილაურის დასახლება), მაგრამ მგასაც გააკეთებენ –გაცნობისთანავე გვითხრა 84 წლის **ომერ მგელაძემ.** ოზურგეთის მერისადმი ნასაკირალელთა პოზიტიური განწყობა არც გაგვკვირვებია, რადგან მუნიციპალიტეტის მერის არჩევნებზე ნასაკირალელთა ხმა გადამწყვეტი აღმოჩნდა, მან აქ 632 ხმა მიიღო და 254 ხმით აჯობა კონკურენტს.

დაბის მოსახლეობის კრებას დაახლოებით 60-მდე ადგილობრივი ესწრებოდა.

– ბატონო ბესო, რატომ შეწუხდი. შენ პოლიტიკურები გაინტერესებს, დაგვტოვე საქმიანი ხალხი,– ასე მიმართა ოზურგეთის მერმა დარბაზში დაგვიანებით შემოსულ დაბა ნასაკირალის მაჟორიტარ დეპუტატ **ბესო ქათამაძეს.**

– სოფლის მხარამჭერი პროგრამით გამოყოფილი 40 ათასი ლარი დიდს ვერაფერს გააკეთებს, მაგრამ ძალიან დიდი პროექტები ხორციელდება ნასაკირალში. შენდება თანამედროვე სკოლა, ერთი მილიონი ლარია გამოყოფილი დვაბზუს ნასაკირალში 102 ოჯახისათვის წყლის სისტემის გასაყვანად, შარშან გაკეთდა ბეტონის გზები, მოიხრეშა საუბნო გზები, მაგრამ სანამ დაბაში არ დასრულდება კომუნიკაციების მონტაჟი, აზრი არ აქვს ახალი გზების გაკეთებას, სანინღვრე არხების მოწყობას.ახალი სკოლა რომ აშენდება, ძველი სკოლის დემონტაჟს მოვახდენთ და აქ ახალგაზრდობის კულტურის ცენტრს აგიშენებთ. მე ხალხმა ამირჩია, კიდევ 2 წელი მაქვს დარჩენილი და დანაპირებს შეგისრულებთ – უთხრა ოზურგეთის მერმა **კონსტანტინე შარაშენიძემ** ნასაკირალელებს.

– დაბაში თანამედროვე ტიპის პროექტით შენდება ახალი სკოლა, რაზედაც სავარაუდოდ 7 მილიონი ლარი დაიხარჯება და მშენებლობა 1,8 წელში დასრულდება – უთხრა ნასაკირალელებს შპს „იმპოსტის“ სამუშაოთა მწარმოებელმა **ეშხარ მასარაძემ.**

ვალიკო ირემაძე: – ვენახის უბანში, სადაც 110 ოჯახი ცხოვრობს, კერძო პიროვნებისაგან შევიძინეთ მიწა სასაფლაოსათვის. სამი მხარე შემოვლობეთ, ახლა ერთი მხარეა დარჩენილი და 14 ცალი ბოძი და მავთულბადე გვჭირდება; უბანში 100 მეტრი ბეტონის გზაა დასაგები, „სეტკა“ და ბეტონი თუ გვექნება, ჩვენ დავაგებთ; 3 ძირი ამორტიზებული ნაძვის ხეა სასაფლაოსთან მოსაჭრელი.

ოზურგეთის მერი ვალიკო ირემაძეს სოფლის პროგრამის გარეშე დაპირდა სამივე პრობლემის მოგვარებას.

განსაკუთრებით ბევრი თხოვნა ჰქონდათ, ნასაკირალში ე.წ. „კუნძულის“ დასახლების მცხოვრებლებს:

ზვიად გიორგაძე –„კუნძულზე“ წყლის პრობლემაა მოსაგვარებელი, შლანგები გვესაჭიროება;

გვ-2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ოზურგეთის მერი ნასაკირალელებს სოფლის პროგრამის გარდა სხვა ბევრი პრობლემის მოგვარებას დაპირდა

ბესო ქათამაძე, დეპუტატი: – ბაილეთის ნასაკირალიდან ბავშვები 1 კილომეტრს ფეხით დადიან...

მერაბ მარკოიძე: –„კუნძულის“ გაგრძელებაზე გზა დაისხას, ქუჩის განათება მოეწყოს..

– ამ პრობლემებს მოგიგვარებთ, მაგრამ მაინც სად დავხარჯოთ სოფლის პროექტების პროგრამით გამოყოფილი 40 ათასი ლარი? –კვლავ დასვა კითხვა მერმა.

–„კუნძულზე,“ სადაც ავტობუსის ბოლო გაჩერებაა, მოსაცდელი გავაკეთოთ– უპასუხა **სულიკო გორგაძემ.**

– აი „კუნძული“ რავა მიტოვებული ყოფილა. მოსაცდელი და წყალი გავაკეთოთ – აღნიშნა მერმა.

– მე-4 რაიონში ხრეში დავყაროთ. ყველა რაიონში ბავშვების გასართობი გავაკეთოთ, – წინადადება დააყენა **ჯამბულ ირემაძემ.**

– ბავშვთა ატრაქციონები ბაგა-ბაღში გავაკეთოთ, არ სჯობია? – შეეპასუხა ერთ-ერთი ადგილობრივი.

– საბავშვო ბაღს აქვს შეშა, წყალი, საკვები. მომავალში თუ ახალი ბაღის მშენებლობა დაიწყება, კარგი იქნება არსებულში კი, თუ ატრაქციონები იქნება, კარგია, 93 ბავშვია ბაღში და 4 საქანელა ცოტაა,– თქვა ბაღის მენეჯერმა **თეონა ხმელიძემ.**

–დვაბზუს ნასაკირალში მალე ახალ ბაღს გავხსნით. აქაც უნდა აიგოს ახალი ბაგა-ბაღის ტიპური შენობა. დაგეხმარებით სურსათის უვნებლობის სამსახურის რეკომენდაციების შესრულებაში. დასაქმების პრობლემა უნდა მოგვარდეს. რაღაც საწარმო უნდა გაკეთდეს ნასაკირალში, რადგან აქ ამდენი მშრომელი ადამიანია. ჩაის შემცვლელი გურიაში არ არის. ანასეულში მოვაწყვეთ სანერგე მეურნეობა. ჩაის ნერგებს უფასოდ გადმოგცემთ. რაც დავპირდი ნასაკირალელებს, იმაზე ნაკლებს არ გავაკეთებ, – აღნიშნა მერმა.

ანა კიკვაძე, პედაგოგი: –მადლობა ბატონო კოტე, რომ დაბაში გვაქვს გზა, წყალი, ბუნებრივი აირი. გვინდა სასაფლაოსთან მისასვლელი გზაზე ბეტონის საფარის დაგება და დაიწყოს დაბაში ტაძრის მშენებლობა, ძველი საავადმყოფოს ტერიტორიაზე არის ტუფის ქვები...

კრების დასასრულს, მას შემდეგ, რაც ნასაკირალელები ვერ შეთანხმდნენ, რაში უნდა დაეხარჯათ სოფლის პროგრამით გამოყოფილი 40 ათასი ლარი, დაბის მაჟორიტარი **ბესო ქათამაძემ** დაბაში კულტურისა და დასვენების პარკის მოწყობა შესთავაზა კრების მონაწილეებს.

– დაბაში პანკისის ხეობის მსგავსი პრობლემაა. ახალგაზრდებს უნდა მივცეთ საშუალება, ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვრონ, – აღნიშნა მან.

– თქვენ ამირჩიეთ, ტყუილად არ დაგპირდებით,. ტყუილი და დაპირებები ვინც იცოდა, თუ სად არიან, კარგად იცით, – განაცხადა მერმა.

კრებამ საბოლოოდ 4-5 უბანში სკვერების და საბავშვო ატრაქციონების მოწყობას უყარა კენჭი.

–არ ჯობდა ეს თანხა ჩემთვის მოეცათ, ცოლს მოვიყვანდი და საჭმელსაც ვაჭმევდი–გაიხუმრა საშუალო ასაკის მამაკაცმა.

კრების დასრულების შემდეგ ჩვენ ვესაუბრეთ მერის წარმომადგენლის თანაშემწეს დაბა ნასაკირალში, **თამილა ვაჩეიშვილს,** რომელმაც კომენტარი გააკეთა ტაძრის მსენებლობასთან დაკავშირებით:

– იქ, სადაც ახლა ახალი სკოლა შენდება, გვერდით იდგა საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა. იქ უნდა აგებულიყო წმ. მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი. გვქონდა საპატრიარქოს თანხმობა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ეს ტერიტორია გაყიდეს. ვინც იყიდა, იქ თხილის პლანტაცია გააშენა და სახლის დადგმასაც აპირებს. თუმცა ამ ნაკვეთის მიმდებარედ დაბის წყლის სისტემის ავზები დგას და იქ სამეურნეო ნაგებობების განთავსება შეუძლებელია. საჭიროა მოლაპარაკება და საკითხის გადაჭრა. ქრისტიანი მოსახლეობა დაბაში უმცირესობას წარმოადგენს და ადგილობრივი მუსლიმები გვპირდებიან, რომ თუკი დაიწყებთ ტაძრის მსენებლობას, ჩვენ გვერდით დაგიდგებით და აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ მშენებლობაში.
–აღნიშნა თამილა ვაჩეიშვილმა.

ამ საშურ საქმეს, შესაბამისი მხარდაჭერა სჭირდება.

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ ოზურგეთში, ანასეულის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია დაიწყო

ანასეულს წყალი მრავალი წელია შეზღუდული გრაფიკით მიეწოდება, მოძველებულია ინფრასტრუქტურა და დიდია სასმელი წყლის დანაკარგიც.

პროექტი ითვალისწინებს ახალი სათავე ნაგებობის, მაგისტრალური მილების, სატუმბი სადგურისა და ქსელის მოწყობას, ასევე, 700-მდე ოჯახის ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას.

მიმდინარე სამუშაოები ოზურგეთის მერმა **კონსტანტინე შარაშენიძემ** დაათვალიერა.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 6 799 998 ლარით ფინანსდება.

წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა 2020 წლის გაზაფხულზე დასრულდება, რის შემდეგაც ადგილობრივი მოსახლეობა 24-საათიანი, ხარისხიანი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი.

ეკალდიდის დასახლებაში ახალი საჯარო სკოლა აშენდება

ეკალდიდის დასახლებაში ახალი საჯარო სკოლა აშენდება.

სკოლის მშენებლობას მუნიციპალური განვითარების ფონდი 1 187 855 ლარით აფინანსებს.

ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს შპს „ჯავა" წლის ბოლომდე დაასრულებს.

მიმდინარე პროცესს ოზურ-გეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე და მერის მოადგილე ოსიკო თოთიბაძე ადგილზე გაეცნენ.

ეკალდიდი-დონაურის გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ, **აკაკი შენგელიამ,** ოზურგეთის მერის მოადგილე **ოსიკო თოთიბაძესთან** ერთად, მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა.

სენაკი-ფოთი-სარფის საერთაშორისო მნიშვნელობის გზიდან, ეკალდიდი-დონაურის გავლით ნატანების ცენტრალურ გზამდე დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები აქტიურ ფაზაშია, იგება ბეტონის საფარი. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2 358 999 ლარით ფინანსდება.

ოზურგეთის სოფლებში 6 ამბულატორიის რეაბილიტაცია დასრულდა. დასრულების ფაზაშია სოფელ ჭანიეთისა და სოფელ გურიანთის ამბულატორიების მშენებლობა. ასევე მიმდინარეობს დაბა ნასაკირალის ამბულატორიის მშენებლობა.

პროექტი, რომლის ღირებულებაც 1, 098, 515 ლარს შეადგენს, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება.

ადგილობრივმა „ნაციონალებმა“ დაიწყეს...

სატელეფონო საუბარში „ალიონის მკითხველმა შეგვატყობინა, რომ 23 იანვარს სოფელ ლიხაურის ე. წ. „ჩაის ფაბრიკის ბინებში“ ადგილობრივმა „ნაციონალებმა“ სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებში სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტები მიიტანეს:

„ადგილობრივმა „ნაციონალებმა“, თავიანთი, ერთ-ერთი ლიდერის თაოსნობით, გასულ ხუთშაბათს ლიხაურის ჩაის ფაბრიკის ბინებში, სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობაში სურსათი მიიტანეს. ეს, რაც საკუთარი თვალით დავინახე, იმასაც მოვკარი ყური, არჩევნებზე თქვენი იმედი გვექნებაო, რომ ეუბნებოდნენ. მოკლედ, აქ აგინი უკვე ფართო საარჩევნო კამპანიას ეწევიან. მართალი ყოფილხართ, რომ წერდით „ნაცის“ კუდი არ გასწორდებაო“.

სოფლის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი 40 ათასი ლარი ურეკში ძირითადად მოხმარდება ამბულატორიის კეთილმოწყობას, მცირედი ნაწილი კი – მოსაცდელების აგებას

ალიონი. გურულებმა ვერ მოვიშალეთ ერთი უცნაური ტრადიცია: ქორწილში 3 საათისათვის დაპატიჟებულ ხალხს სუფრასთან უკეთეს შემთხვევაში 5 საათისათვის დავსხამთ. კარგი იქნება თუ ეს ტრადიცია საჯარო სექტორშიც არ დამკვიდრდება. 23 იანვარს ურეკში სოფლის პროგრამის საკითხებზე 12 საათზე დანიშნული კრება 14 საათსა და 15 წუთზე დაიწყო. დაგვიანების მიზეზად აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ობიექტური მიზეზები დაასახელეს, რაშიც ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ კარგი იქნება თუ ასეთ შეხვედრებს დათქმულ დროზე დავიწყებთ და ქრონომეტრაჟსაც გავუფრთხილდებით, ანუ დროის ფასს ვისწავლით. ქვეყანა არ დაქცეულა, მაგრამ რამდენიმე ადამიანი აშკარად განაწყენდა და კულტურის სახლში კრების დაგვიანებით დაწყებას აღარ დაელოდა.

შეხვედრის მიზანი იყო, გადაეწყვიტათ, რაში მოიხმარდა დაბა ურეკი და წვერმაღალა სოფლის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილ 40 ათას ლარს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის კონსტანტინე შარაშენიძის თქმით, ეს იმდენად მცირე თანხაა, რომ რაიმე ინფრასტრუქტურის მოწყობა შეუძლებელია და რაღაც ერთიანზე უნდა შეთანხმდნენ.

ითქვა, რომ შარშან ანალოგიური მიზნით გამოყოფილი თანხა კულტურის სახლის გაზიფიცირებასა და სკვერის მოწყობას მოხმარდა.

დღეს დიდი დავის საგანია ურეკში ახალი წყალგაყვანილობა. მოხდა ისე, რომ მრავალმილიონიანი პროექტი განხორციელდა დაბის რკინიგზის გადაღმა, ზღვისპირა ნაწილში, სადაც ახალი წყალგაყვანილობა ჯერჯერობით სატესტო რეჟიმში მუშაობს, დაბის გამოღმა მხარე კი საერთოდ უწყლოდ დარჩა. რა თქმა უნდა, სამართლიანია გამოღმელთა გულისწყრომა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ 40 ათასი ლარით ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია. ჰაერში გამოკიდული დარჩა კითხვა თუ რატომ არ ჩასვეს ამ მრავალმილიონიან პროექტში გამოღმა ურეკი?

შარაშენიძე ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების ოზურგეთის ხელმძღვანელს დავით ცერცვაძეს, რომელიც რამდენიმე წუთში კრებას შემოუერთდა. ცერცვაძემ პრობლემის მოგვარების სამი გზა შესთავაზა მოსახლეობას. ერთ-ერთზე, ყველაზე რეალურზე შეჯერდნენ კიდეც.

მოსახლეობა იმდენად აქტიურობდა, რომ ერთმანეთს არ აცლიდნენ სათქმელს და ცოტა ძნელი გახდა, მათ მიერ დასახელებული საკითხების სრულყოფილად მოსმენა და ჩაწერა. ყველას თავისი უბნის კეთილმოწყობაზე გადაჰქონდა აქცენტი. რაც მოვისმინეთ ითქვა, რომ ეს ფული მოხმარებოდა: ან ბულვარის სამუშაოების დამთავრებას, ან საინფორმაციო ცენტრის მოწყობას, ან მაწანწალა ძაღლების მომრავლების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას, ან ამბულატორიის კეთილმოწყობას, ან ტროტუარების შეკეთებას, ან საბავშვო ატრაქციონის მოწყობას, ან კარუსელის აგებას... ამ უკანასკნელის დასახელებას დუმბაძის ქუჩაზე მცხოვრები ქალბატონის, თუ არ ვცდებით ეკა მინდორაშვილის ასეთი რეპლიკა მოჰყვა: „კარუსელზე რაფერ დავჯდე, გული წამივა, წყალი არ მაქ სახლში“.

საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ სოფლის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი 40 ათასი ლარი ურეკში ძირითადად მოხმარდება ამბულატორიის კეთილმოწყობას, მცირედი ნაწილი კი – მოსაცდელების აგებას.

ეს უკანასკნელი – მოსაცდელების აგება კრებაზე ყველაზე ნაკლებად ხსენდა, მაგრამ პრიორიტეტული მაინც აღმოჩნდა. ეტყობა „მოდაშია“ და არა მხოლოდ ურეკში...

კონსტანტინე შარაშენიძე: „არ ვივიწყებ პატივისცემას, არ ვივიწყებ დაპირებებს...“

ალიონი. 21 იანვარს, სოფელ მელექედურში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, საპროექტო წინადადებების შერჩევის მიზნით, მოსახლეობის საერთო კრება გაიმართა, სადაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოსახლეობის მოსაზრებები მოისმინა. შეხვედრას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი, **კონსტანტინე შარაშენიძე** უძღვებოდა.

–შენი მხარადამჭერი ვიყავი არჩევნებზე. 40 წელია არჩევნებში ასე არ გაგვმართლებია, ამოისუნთქვა სოფელმა. რაც ამ ორი წლის განმავლობაში სოფელში გაკეთდა: მოსაცდელები გაკეთდა, განათებები, შარშან სკვერი გაკეთდა...კარგი დასაწყისია . აწი გაკეთდება ბევრი რამ, –ასე დაიწყო შეხვედრაზე თავისი გამოსვლა მელექედურელმა **ნაზი სალუქვაძემ,** რომელმაც შემდეგ თავი ასე წარმოგვიდგინა: –ვიყავი საუბნო კომისიის წევრი „ევროპული საქართველოდან“.

ოზურგეთის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ ნაზი სალუქვაძის გამოსვლას მადლობით უპასუხა:

–არ ვივიწყებ პატივისცემას, არ ვივიწყებ დაპირებებს. თქვენ მე ამირჩიეთ და მზად ვარ, მოგისმინოთ და გავაკეთოთ, რასაც შევძლებთ თქვენი სოფლის გამოყოფილი 40 ათასი ლარით.

–მისახედი სოფლის შიდა გზებიცაა. №2 ბრიგადაში დღეში ორჯერ შემოდიოდა ოზურგეთი-მელექედურის რეისის მიკროავტობუსი, ახლა გზა დაზიანებულია და გუშინ მიკროავტობუსის მძღოლმა შუა გზაზე გააჩერა მანქანა და აღარ წამოვიდა. თუ ეს გზა არ მოწესრიგდა, მალე ფეხითაც ვერ ამოვა აქ ადამიანი. – თქვა **ხათუნა ღლონტმა.**

–ეს „რაფი“ მანამდეც მაქ ჩერდებოდა“– ხათუნა ღლონტს შეეკამათა „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელი **ნაზი სალუქვაძე,** რომელიც რატომღაც თანასოფლელთა ყველა კრიტიკულ წინადადებებზე რეაგირებდა.

კრების მონაწილეთა უმეტესობა წყლის, (№5 ბრიგადა), ბუნებრივი აირის, საუბნო და საყანე ფართობებთან მისასვლელი გზების პრობლემებზე საუბრობდა,. სოფლისთვის გამოყოფილი თანხის რაოდენობიდან გამომდინარე, ისინი სოფელში სტადიონების მოწესრიგებაზე (გაღმა და გამოღმა მელექედური) აკეთებდნენ აქცენტს. ამ წინადადებას სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი **ლევან კილაძეც** უჭერდა მხარს.

–შიდა გზებიც მისახედია, მაგრამ ხალხის ფულით გაკეთებული დვაბზუ-მელექედური-სოფელ ოზურგეთის გზა მალე გამოვიდა მწყობრიდან. ამ მძიმეწონიანი მანქანების მფლობელები თუ ფიქრობენ, რომ გააკეთონ გზები, რომელსაც აზიანებენ? მაქსიმალურად შევაჩერეთ კარიერების მუშაობა.. ბუნებრივი აირი სადაც გაიყვანეს, ზოგან ქვიშას არ აყრიან, ზოგან სხვას აკლებენ, ეკონომიას აკეთებენ..თქვენთან პირველ რიგში სოფლის ცენტრია მისახედი. საუბნო გზების მოსაწესრიგებლად მუნიციპალიტეტის კუთვნილ ტექნიკას გამოვუშვებთ, – აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.

მერმა რამდენჯერმე გააკეთა აქცენტი სოფლის ცენტრში არსებულ ყოფილ კლუბ-კანტორაზე და მის გარშემო ერთ ჰექტარ მიწის ფართობზე, თუმცა სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა და რამდენიმე მელექედურელმა თქვეს, იცოდნენ, რომ ეს ტერიტორია საპატრიარქოს გადაეცა.

–საპატრიარქოს აკლია მიწები? –ასე გამოხატა თავისი პოზიცია **ნაზი სალუქვაძემ.**

კონსტანტინე შარაშენიძემ სთხოვა მმუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურის უფროსს თემურ გიორგაძეს საკითხის გასარკვევად ჩაენიშნა ეს თემა.

–ასეც არ ვიცი, ვნახოთ, გვყავს იურისტები, მოვილაპარაკოთ, შევთანხმდეთ. ეპარქიაც ჩვენია, ერთმანეთის ვართ. სოფელში აუცილებელია ცენტრი იყოს კეთილმოწყობილი და ის დაუსრულებელი შენობა უნდა მოშორდეს აქედან –აღნიშნა შარაშენიძემ.

ერთ-ერთმა მელექედურელმა ჩვენთან საუბარში თქვა, რომ მართალია სოფლის ყოფილი კლუბ-კანტორის შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, მაგრამ იგი შემოქმედის ეპარქიას აქვს გადაცემული, რადგან, როცა სოფლის ცენტრში წმინდა იოანე ნათლისცემლის ეკლესიას აშენებდნენ, იქედან წამოიღეს აგური. ძალიან უხერხულია, სოფელი ეკლესიისათვის გადაცემულ ქონებას შეეხოს, ან რა შეემატება სოფელს, ძველი შენობის დანგრევით? - გვითხრა მან.

საბოლოოდ მაინც უყარეს კენჭი სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხით სოფლის ყოფილი კლუბ-კანტორის დემონტაჟის საკითხს, თუმცა მელექედურელებმა პრიორიტეტებში სოფლის სტადიონების კეთილმოწყობის სამუშაოების აუცილებლობასაც უყარეს კენჭი.

იუსტიციის სახლში გამოვითხოვეთ საჯარო რეესტრის ამონაწერი, სადაც ვკითხულობთ, რომ სოფელ მელექედურში 10610,00 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (კოდი 26.13.17.002), სადაც დაფიქსირებულია 2-სართულიანი ფართი (საერთო ფართობი 1970.3 კვ.მ) 2009 წლის 10 ოქტომბერს უზურფრუქტით დაირეგისტრირა ***„სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ“****. უსასყიდლო უზურფრ-უქტის ხელშეკრულება 2009 წლის 3 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერაა დამოწმებული.*

მსხვილნაყოფა ციტრუსი - „ოიუ“ (Citrus Oiu)

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის ციტრუსოცანი კულტურებიდან ყველაზე მეტად ცნობილია მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი,

რომლებიც საუკუნეზე მეტია სამრეწველო დანიშნულებითაა გავრცელებული შავი ზღვის სანაპირო რეგიონებში. უნდა ვაღიაროთ, რომ ნიადაგურ - კლიმატური თავისებურებებიდან გამომდინარე ჩვენთან მოწეული ციტრუსოვანთა ნაყოფები თავისი ორგანო-ლეპტიკური მაჩვენებლებით ბევრად უკეთესია სხვა ქვეყნებში წარმოებულ იგივე სახის პროდუქტებზე; რის გამოც ოდითგანვე საქართველოში წარმოებულ ციტრუსოვანთა ნაყოფებზე საექსპორტო მოთხოვნილება იზრდებოდა. სამწუხაროდ ისეთი კულტურა როგორიცაა ფორთოხალი მისი სამრეწველო წარმოება ჩვენთან ყოველწლიურად მცირდება, არადა თავისი საბაზრო ღირებულებით ის გაცილებით აჭარბებს მანდარინისა და ლიმონის ფასს. თუ დღეს საქართველოში წარმოებული ციტრუსებიდან 80-85 % მანდარინზე მოდის და ფორთოხალი და ლიმონი მხოლოდ 15-20 %-ია პერსპექტივაში ეს თანაფარდობა თანდათან უნდა შეიცვალოს ფორთოხლების მეტი რაოდენობით წარმოების ხარჯზე.

რაც შეეხება ციტრუსოვანთა სახეობებს როგორიცაა: გრეიფრუტი, პომპელმუსი, ციტრონი და სხვა, ისინი საქართველოში შემოტანილი იქნა სელექციური მუშაობის მიზნით, თუმცა ბევრი მათგანი, ნაყოფების სასარგებლო თვისებებიდან გამომდინარე, იმსახურებდა მოსახლეობის ყურადღებას. ერთ-ერთ ასეთ კულტურას წარმოადგენს მსხვილნაყოფა ციტრუსი ,ოიუ“, რომლის ნაყოფები უშუალოდ ხილის სახით არ მოიხმარება, თუმცა მისგან დამზადებული ცუკატები და მურაბები არომატული და ადამიანისათვის მეტად სასარგებლოა. ციტრუსოვანთა შორის პომპელმუსები ითვლებიან ყველაზე ახალგაზრდა კულტურად მსოფლიოს ყველა კუთხეში. მათი სამრეწველო წარმოება მიეკუთვნება მე-18 საუკუნის ბოლოს. პირველი მონაცემები მათ შესახებ გამოქვეყნებულია 1885 წლიდან. ჩვენთან ციტრუს

„ოიუ“ შემოტანილია იაპონიიდან. ჯიშის წარმოშობა უცნობია, თუმცა მას მიიჩნევენ ციტრუს იუნოსისა და პომპელმუსის ჰიბრიდად. ციტრუს „ოიუ“-ს სინონიმებია: „ჩალმისებური პომპელმუსი“, „ჩალმისებური ციტრონი“, „მსხვილნაყოფა ბიგარადია“ და „ჰიბრიდული ფორმა № 45“.

სამწუხაროდ საქართველოს სუბტროპიკებში ასეთი ჯიშები ნაკლებადაა შემორჩენილი, არადა მეციტრუსეობის განვითარების კონტექსტში ასეთი ჯიშების მოძიებას, გამრავლებას და სამრეწველოდ გამოყენებას გარკვეული პერსპექტივები გააჩნია. აქედან გამომდინარე ჩვენ მიზნად დავისახეთ მოვიძიოთ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნეში საქართველოში შემოტანილი ციტრუსოვანთა იშვიათი ჯიშები და მოვახდინოთ მათი გამრავლება რეაბილიტაცია. ერთ-ერთ ასეთ კვლევით ობიექტს წარმოადგენს ციტრუს „ოიუ“, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-40-იან წლებში სელექციორ ვ.პ. ალექსეევის მიერ იქნა გამოყენებული ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში სელექციური მუშაობის მიზნით. პრაქტიკულად ჩვენი და-კვირვების ობიექტი, რომელიც დაახლოებით 50-55 წლის ასაკისაა, საკმაოდ ხანდაზმული და ონტოგენეზის ბოლო სტადიაშია. ციტრუს „ოიუ“-ს აღნიშნული ფორმა შემორჩენილია სელექციონერ ალექსანდრა ქორქიას ყოფილ საკარმიდამო ბაღში ანასეული, რომელიც ბოლო 20 წლის განმავლობაში თითქმის მოუვლელი და უყურადღებოდ იყო. ბაღის ჩვენს საკუთრებაში გადმოცემის შემდეგ ციტრუსის ამ ერთადერთ ეგზემპლიარს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა, კვების, ვარჯის გასუფთავების, მორწყვისა და შეწამვლის ფონზე მცენარეს სიცოცხლე დაუბრუნდა და მსხმოიარობა დაიწყო.

ციტრუს,, ოიუ“, რომლის საძირედ „პონცირუს ტრიფოლიატაა“ გამოყენებული დაბალმზარდია, რომლის სიმაღლე 1.5-2.0 მეტრის ფარგკლებში მერყეობს, ვარჯი კარგად შეფოთლილი მოგრძო ტყავისებური ფოთლებით, მცენარე უეკლოა, ფოთლის საშუალო სიგრძე 12.5 სმ, სიგანე 5.5 სმ. კვერცხისებური ფორმის, ფოთლის წვერი წაწვეტილი, ფუძე მომრგვალო, შეფერილობა ღია-მწვანე , ყუნწი 2.5 სმ. ფრთიანია. მცენარეს ახასიათებს სუსტი ზრდა, ყლორტები მოკლე მუხლთაშორისებით, ფოთლები ყლორტზე შეკრებილია ჯგუფ-ჯგუფად. ყვავილი მსხვილი, ფართო, სქელი, თეთრი ფერის გვირგვინის ფურცლებით, მტვრიანები შეკრებილია 2-6 ცალად, მტვერი ცხოველმყოფელი. ბუტკო მსხვილი, მოკლე. ყვავილობა დაფიქსირებულია მიმდინარე წლის ნაზარდებზე, მსხმოიარობა თითოეულ ტოტზე 1-3 ცალი ნაყოფის რაოდენობით. მცენარის ყინვაგამძლეობა დაახლოებით ფორთოხლის ყინვაგამძლეობის თანაბარია (-8-90) ნაყოფი ძალიან მსხვილი, დიამეტრი 125 მმ., ნაყოფის სიმაღლე 118 მმ., საშუალო მასა 568 გრ., ფორმა მრგვალი, თავისებურად ორიგინალური, ფუძე ბრტყელი, ყუნწი მსხვილი 6მმ. ნაყოფის ზედაპირი ძალზე ამობურცულ - დანაოჭებულია, ჩალმისებურად დახვეული, საკმაოდ ფართო, რომელიც ნაოფს თითქმის ორად ყოფს. შეფერილობა ოქროსფერ-მოყვითალო, კანი ძალზე სქელი 30-40 მმ. ფაშარი, რბილობისაგან ძნელად მოსაცილებელი. ალბედო თეთრი ფერის, ეთერზეთოვანი ჯირკვლები ძალზე მსხვილი, დიდი რაოდენობით, ძლიერ სურნელოვანი. რბილობი 33-45 მმ. ცენტრში 9-10 ცალი ლებანი, რომელიც ძნელად სცილდება რბილობს, რბილობი მარცვლისებრი, მომწვანო-მყვითალო ფერის, წვნიანი, საწვნე პარკები მსხვილი და იოლად შორდება ერთმანეთს. გემო მომჟავო-მოტკბო, სასიამოვნო არომატით. თესლი 10-20 ცალი, მსხვილი, ფართო, ბრტყელი, გავს პომპელმუსის თესლებს, მოყავისფრო ერთჩანასახიანი თეთრი შიგთავსით. გვხვდება უთესლო ნაყოფებიც.

ნაყოფები ტექნიკურ სიმწიფეში შედიან ნოემბერ - დეკემბრის თვეში. ნაყოფები იკრიფება მაკრატლით, ყუნწიანად ერთად. ეწყობა გრილ სარდაფში +40-+50 ტემპერატურაზე, რაც ახანგრძლივებს ნაყოფების შენახვის უნარიანობას. ასევე მიზანშეწონილია საცხოვრებელ ბინებში „ოიუს“ ნაყოფების განლაგება, რაც სასიამოვნო არომატსა და სურნელებას შესძენს თქვენს ბინას. როგორც ავღნიშნეთ ციტრუს „ოიუ“-ს ნაყოფები საინტერესოა, როგორც პექტინის ნედლეული, რასაც ფართო გამოყენება აქვს ცუკატებისა და მურაბების დასამზადებლად. ჩვენი პრაქტიკიდან გამომდინარე მისგან დამზადებულმა მურაბამ ბევრი უცხოელი სპეციალისტის თუ მომხმარებლის განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა, რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს ამ კულტურის ნაყოფების ფართო სამრეწველო-საკონსერვო გამოყენების შესაძლებლობებზე. აქვე ქთავაზობთ ციტრუს „ოიუ“-ს ნაყოფებიდან საოჯახო მურაბის დამზადების წესს:

მოკრეფილი ნაყოფები კარგად ირეცხება გამდინარე წყლით, შეშრობის შემდეგ ნაყოფები ბასრი დანით იჭრება კუბიკებად (2X3 სმ), ეცლება გულგული თესლით, ეწყობა ემალირებულ თასზე და 2 დღის განმავლობაში ვაყოვნებთ ცივი წყლის ქვეშ და ყოველდღე უცვლით წყალს. მესამე დღეს ვრეცხავთ ცივი წყლით და ვათავსებთ ნაჩვრეტებიან ჭურჭელზე. პარალელურად ემალის ჭურჭელში ვაკეთებთ შაქრიან სიროფს, რისთვისაც ერთ კგ. „ოიუ“-ს კუბიკებზე ვიღებთ 2 კგ შაქარს და 2.5 ჭიქა წყალს. წინასწარ მომზადებულ ცხელ სიროფს ვასხამთ „ოიუ“-ს კუბიკებს და ვაყოვნებთ ერთ დღე-ღამეს, შემდეგ ნელ ცეცხლზე ვადუღებთ შესქელებამდე, ცხლად ვაწყობთ მინის ქილებში და გერმეტულად ვხუფავთ. ასეთი წესით მომზადებული მურაბის შენახვის ხანგრძლივობა 2-3 წელია.

P.S. ციტრუს „ოიუ“-ს გამრავლების მიზნით ანასეულში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახურის საკოლექციო სანერგე ნაკვეთზე 2018 წლის აგვისტოში მოეწყო ხანდაზმული ხიდან აღებული კვირტებით ტრიფოლიატის საძირეზე მყნობა. როგორც დაკვირვებები გვიჩვენებს კვირტების გახარების პროცენტი მაღალია (95%) ამასთან 2019 წლის სავეგეტაციო პერიოდში ერთწლიანი ნერგების სიმაღლემ საშუალოდ 55-60 სმ-ს მიაღწია. 3-4 გვერდითი დატოტიანებით. პერსპექტივაში ვგეგმავთ ამ ჯიშის ნერგების ფართო მასშტაბით წარმოებას და დაინტერესებული პირებისათვის შეღავათიან ფასებში მიწოდებას.

ციტრუს „ოიუ“ შესაძლებელია გაშენდეს სხვა ციტრუსოვნებთან ერთად პლანტაციის ,ან ინდივიდუალურად ერთეული ნარგაობის სახით. რაც შეეხება მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგიას იგი მთლიანად ექვემდებარება ციტრუსოვნებისათვის წაყენებულ აგროტექნიკურ მოთხოვნილებებს. მისი ჩართვა ციტრუსოვანთა ნარგაობის კომპლექსში ამავდროულად საუკეთესო ეგზოტიკურ სანახობასაც ამჟღავნებს.

ამრიგად ციტრუს „ოიუ“-ს გლეხურ და ფერმერულ მეურნეობებში დანერგვა - გაშენება კიდევ უფრო გაამდიდრებს მეციტრუსეობის ასორტიმენტს და მეორეს მხრივ მოგვცემს შესაძლებლობას მისი ნაყოფებიდან საკონსერვო წარმოებაში მიღებული ცუკატების თუ მურაბების სახით დამზადებული პროდუქციის საბაზ-რო-საექსპორტო დანიშნულებით გამოყენებაზე.

ზაურ გაბრიჩიძე
ს.მ.მ. დოქტორი

ცისანა ქაშაკაშვილი
ს.მ. აკადემიური დოქტორი

ქეთევან ჩიკაშუა
ბ.მ. აკადემიური დოქტორი

ნიკა გუნთაძე.
მაგისტრანტი

ახალი დეტალები გურულ მოჯირეთათა ისტორიიდან

რიჩარდ ჯორჯიანი გურიაში



როგორ დაიწყო ქართველი მოჯირითეებით დაინტერესება ბატონმა რიჩარდმა ? - ამას თვითონ გვიამბობს:

„მამაჩემმა ალექსიმ გარდაცვალებამდე მთხოვა ბაბუაჩემის ალექსი გოგოხიას ცხოვრების შესწავლა.კვლევისას გადავაწყდი ქართველ მოჯირეთეთა ისტორიას.

ბაბუაჩემი წიგნის მაღაზიის მფლობელი იყო, ასევე გამოსცემდა გაზეთს „ახალი დრო“. ის გულუხვი ქართველი იყო და წიგნებს ხალხს წიგნებს ჩუქნიდა იმ იმედით, რომ მეტი ადამიანი წაიკითხავდა. ბაბუაჩემი არ იყო ბიზნესმენი. მაღაზია შემოსავლიანი გახდა მას შემდეგ,რაც მისი მართვა ბებიაჩემმა სტელამ დაიწყო ქმრის ციხეში ყოფნისას“.

ახლა თვით ბატონ რიჩარდს გავეცნოთ: რიჩარდ-ალექსი გოგოხია დაიბადა 1944 წლის 16 ნოემბერს.ის ჯონს ჯორჯიანის უფროსი შვილი იყო,რომელიც ასევე უფროსი შვილი იყო ალექსი ესტატე გოგოხიასი(ჯორჯიანი).

1994 წელს რიჩარდმა აღმოაჩინა ალექსი გოგოხიას ფოტო, რომელიც უცნაურ ფორმაში იყო გამოწყობილი და მამას კითხა. მამამ უთხრა: „არ მითქვამს შენთვის, რომ მამაჩემი ალექსი უაილდ უესთის შოუში ჯირითობდა ბუფალო ბილთან?!

რიჩარდის პასუხი უარი იყო. ჯონ ჯორჯოიანმა სწორედ მაშინ სთხოვა შვილს ალექსის ცხოვრების კვლევა.რიჩარდმა 16 წელი მიუძღვნა ალექსი გოგოხიასა და 100 ქართველი მოჯირითის ისტორიის შესწავლას (რომლებიც უაილდ უესთის შოუზე გამოდიოდნენ 1892-1920 წლებში).

კვლევის პირველივე წელს რიჩარდმა გადაწყვიტა, რომ ამერიკის უაილდ შოუსა და ცირკის ისტორია შესასწორებელი იყო და საჭიროდ მიიჩნია, რომ ქართველებს სცოდნოდა მათი თანამემამულეების მოღვაწეობის ამბავი ამერიკის შეერთებულ შტატებში. მან დაწერა ორი წიგნი. პირველი განკუთვნილია ისტორიკოსებისათვის და ამერიკის საზოგადოებისათვის, ხოლო მეორე– ქართველებისათვის.

პირველი წიგნი: „კაზაკები, ინდიელები და ბუფალობილი“არის უაილდ ვესტის 35 შოუსა და ცირკის ისტორია, სადაც ქართველები გამოდიოდნენ.წიგნმა მიიღო ცირკის ისტორიული საზოგადოების პრიზი,როგორც უაილდ უესტის შოუებისა და ცირკის ისტორიის შესახებ გამოქვეყნებულმა წიგნმა.მეორე: „ქართველ მოჯირითეთა ქრონიკები“იყო. რომელიც იგივე ამბავს მოგვითხრობს,მაგრამ მეტადრე ქართველების ისტორიას ამ შოუებში.

რიჩარდ ჯორჯიანი სენტ ლუისში, მისურში გაიზარდა, ოჯახთან ერთად ინდოეთში ორჯერ იმოგზაურა, სადაც მან ბრიტანული განათლება მიიღო.

1961 წელს ის ამერიკის საზღვაო ფლოტს შეუერთდა და კომუნიკაციის განხრით მუშაობდა. საზღვაო ფლოტთან დაკავშირებული კარიერა მოიცავდა მოგზაურობას ვიეტნამში, ავსტრალიაში, ბაჰრეინში, იტალიასა და პუერტო რიკოში.

1984 წელს გავიდა პენსიაზე და მოიპოვა ბაკალავრის ხარისხი მეცნიერებაში მერილენდის უნივერსიტეტისაგან. 1984-1994 წლებში კომპიუტერის ტესტირების კომპანიაში მუშაობდა იყო უფროსი სისტემური ანალიტიკოსი. ცხოვრების დარჩენილი წლები მიუძღვნა ალექსი გოგოხიას ცხოვრების კვლევასა და მან ფარდა ახადა ბევრი ქართველი მოჯირითის ისტორიას.

– როდის დაიწყეთ წიგნზე მუშაობა?-კითხვაზე ბატონი რიჩარდი პასუხობს:

– ჩემი კვლევა დაიწყო 1994 წელს აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკაში. 1996 წელს შევიტყვე უზუსტობის შესახებ ამერიკის ისტორიის იმ ეპოქისა, რომელიც ეხებოდა ქართველ მოჯირითეთა მოღვაწეობას უაილდ უესთის შოუებში. რაც უფრო მეტ ინფორმაციას ვიპოვებდი და რაც უფრო მეტი ქართველის სახელსა და გვარს ვაგნებდი, გავაანალიზე,რომ აუცილებელი იყო ჩემი კვლევა მხოლოდ ალექსი გოგოხიათი არ შემოფარგლულიყო.

კვირაში 2-3 დღეს დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე კონგრესის ბიბლიოთეკასა და ამერიკის არქივებში ვატარებდი ვაშინგტონში. ეროვნულ არქივებს საზღვაო მიმოსვლის ჩანაწერებში ჰქონდათ მიკრო ფირი, რომლის განხილვისას დავიწყე თითოეული გემის შემოსვლის გაანალიზება (იანვრიდან მაისის ჩათვლით).

აღმოვაჩინე, რომ ქართველები ძირითადად მარტში, აპრილსა და ადრეულ მაისში ჩამოდიოდნენ უაილდ უესტის შოუებში. ეს, ცოტა არ იყოს, მოსაბეზრებელი შრომა იყო,რადგან ამ ჩანაწერთა ხელნაწერები რთული წასაკითხი იყო, დასახელებისა და გვარის მართლწერაც არასწორი გახლდათ.

ქართველების ამოცნობის ხერხს მივაგენი.ქართველთა საქმიანობის გვერდით ხელოვანი ეწერა, ეროვნება-რუსი და გამომგზავრების-პორტის ადგილი ხშირ შემთხვევაში-ბათუმი.

ხუთი ათასამდე მიკრო ფირი შევისწავლე.

არქივში ინფორმაციის მეორე წყარო იყო ქალაქების კატალოგები,აქ იყო მოცემული სახელები, მისამართები და პროფესიები ამა თუ იმ ქალაქში,ამა თუ იმ წელს მცხოვრები ადამიანებისა.ამას ბევრი დრო დასჭირდა, მაგრამ აღმოვაჩინე ქართველები ჩიკაგოში,ნიუიორკში და რამდენიმე სხვა ქალაქში.

კონგრესის ბიბლიოთეკას ჰქონდა სამი ყველაზე მნიშვნელოვანი ჟურნალის მიკროფილმი ჩემი კვლევისათვის: „ბილბორდი“, „ვარიეტე“ და „ნიუორკ კლიპერი“, ეს ჟურნალები მოიცავს თეატრალურ წარმოდგენებთან და კარვის შოუებთან დაკავშირებულ ინფორმაციებს (უაილდ უესთის შოუები და ცირკი).

გავეცანი გაზეთის ყველა ნოემბერს (1892-1924 წლები).

ამ ჟურნალებში მოცემულია შოუების მარშრუტები (თარიღებისა და ქალაქების მინიშნებით). სწორედ ამის საშუალებით მივყევი სტატიების კითხვას.ყოველივე ამას 16 წელი დასჭირდა.ასევე ვიმოგზაურე ამერიკის მასშტაბით და მოვიარე უაილდ უესტის შოუების გამართვის ისტორიული ადგილები და შევაგროვე ინფორმაციები მუზეუმებისა და ცირკის ისტორიის არქივებიდან.

ბატონი რიჩარდი თავის შთაბეჭდილებებს გვიამბობს 2000 წელს გურიაში ყოფნის გამო.

– თბილისში საღამოს ჩამოვედი, 2000 წლის 8 სექტემბერს, თბილისის შემოგარენი ციდან მოყავისფრო ჩანდა, ისეთი. როგორც სამხრეთ დასავლეთ ამერიკაში. ყველა სახურავი ყავისფერი იყო და შენობა ნაცრისფერი, ცემენტით ნაშენი.რამდენიმე დანგრეული სამხედრო ბაზა და სამხედრო აეროპორტიც შევნიშნე. ცოტა მცენარე იყო ირგვლივ და მთის წვერებს ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ ,თითქოს ხეები მოუჭრიათ მათზე ,აეროპორტი ნამდვილად საჭიროებდა რემონტს.

ეს იყო პირველი შთაბეჭდილება ჩამოვედი და ვნახე ადამიანები, რომლებიც იყვნენ ზრდილნი, მეგობრულნი, გულუხვნი და ჭამა-სმის მოყვარულნი.

საქართველოს მშვენებაა ქართველები.ბაბუაჩემის ნათესავებმა მიმასპინძლეს და ჩემს კომფორტსა და უსაფრთხოებაზე ზრუნავდნ. ვიმოგზაურე ოზურგეთსა და ლანჩხუთში, აღმოვაჩინე უფრო ფერადოვანი მხარე.

გურიაში უცხო ადამიანები გავიცანი,მაგრამ ოთხი დღის შემდეგ ,ისინი ჩემი მეგობრები გახდნენ. ჩემი მასპინძელი იყო მანანა ლომაძე, მან სახლის კარი გამიღო და მომაწოდა ძალიან ღირებული კვლევის მასალა ჩემი წიგნებისათვის.

მე კვლავ მაქვს მიმოწერა მანანასთან და თამარ ღლონტთან.

მანანა ლომაძე
ოზურგეთის სამუზეუმო
გართიანების ფონდების მთავარი
მცველი

ფერმერთა დასახმარებლად

ღორის აფრიკულ ცხელება-დაავადება 4-5 წელიწადში ერთხელ ფეთქდება

როგორ ვლინდება ცხოველში ღორის აფრიკული ცხელება, რა სიმპტომებით ხასიათდება დაავადება და როგორ უნდა მოვიქცეთ, იმ შემთხვევაში თუ ღორი ცხელებისგან დაავადდა. ამ და სხვა კითხვებით „მეურნემ“ „ასოციაცია მომავლის ფერმერის“ მთავარ ვეტერინარს, კონსულტანტსა და ბიოლოგიის დოქტორს **მიხეილ ჭიჭაყუას** მიმართა.

– ახალციხის მუნიციპალიტეტის სამ სოფელში ღორები მასიურად იხოცება. სიმპტომების მიხედვით ივარაუდება, რომ საქმე გვაქვს ღორის აფრიკულ ცხელებასთან, თქვენ როგორ ფიქრობთ?

– არსებული მცირე ინფორმაციით ძნელია განისაზღვროს, დაავადების რა სახესთან გვაქვს საქმე,ვარაუდი შეიძლება გამოთქვა მას შემდეგ,როცა მინიმუმ გაირკვევა, ღორები არიან თუ არა აცრილები კლასიკურ ჭირზე, პასტერელოზზე, წითელ ქარსა და ცრუ ცოფზე (აუესკის დაავადება).

– რა სიმპტომებით ხასიათდება აფრიკული ცხელება?

– დავაკვირდეთ ცხოველის მდგომარეობას, დასაწყისში იცის ტემპერატურის მოულოდნელი აწევა 40,5-42 0ც –მდე და მეტიც,პულსი აჩქარებულია 24-48 ტემპერატურა ქვევით ჩამოდის, სუნთქვა ზედაპირულია, ირღვევა მოძრაობის კოორდინაცია, ვითარდება ნერწყვდენა, ტემპერატურის აწევიდან 48-72 საათში ცხოველი კვდება.. მწვავე ფორმის დროს კლინიკური ნიშნები შემდეგნაირად არის გამოხატული: სხეულის ტემპერატურა მომატებულია, 40,50ც–ზე მეტია. სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე ტემპერატურა ეცემა 350ც–მდე, ღორს ეწყება წყურვილი. ავადმყოფ ღორს სიარულის თავი არ აქვს და წევს, სიარულის დროს ბარბაცებს, უკანკალებს კუნთები, შეიძლება ქონდეს ცხვირიდან სისხლისდენაც. მაკე ნეზვებში ადგილი აქვს აბორტირებას, კანი აქვს ციანოზური. ყელის, გულმკერდის,მუცლის და კიდურების შიგნითა ზედაპირზე დაავადების ბოლოს ვნახულობთ მრავლობით წერტილოვან სისხლჩაქცევებს. ადგილი აქვს საჭმლის მომნელებელი სისტემ2ის აშლი-ლობას, შეიძლება განვითარდეს პირღე-ბინება სისხლიანი ამონაღებით. ასევე ადგილი აქვს მენინგო-ენცეფალიტის ნიშნებს, კდაავადება 4-7 დღეში სიკვდილით მთა-ვრდება (მწვავე ფორმა).

დაავადება შეიძლება მიმდინარეობდეს ქრონიკული ფორმით. აქვს იგივე ნიშნები, შედარებით სუსტად გამოხატული,ავადმყოფობა გრძელდება ორი კვირა, ზოგჯერ მეტიც და უმრავლეს შემთხვევაში, სიკვდილით მთავრდება. გადარჩენილი ღორი (თუ ასეთი არის) რჩება ვირუსის მატარებლად.

ინფექციური დაავადების დროს ფერმერებმა უნდა მიმართონ ვეტერინარ ექიმს.

საერთოდ, ეს დაავადება 4-5 წელიწადში ერთხელ ფეთქდება,თუ ერთი შემთხვევაც კი დაფიქსირდა.

– როგორ მოიქცეს ფერმერი, თუ ცხოველს აფრიკული ცხელების სიმპტომები აქვს?

– ფერმერმა ცხოველის ნებისმიერი ინფექციური დაავადების დროს უნდა მიმართოს ვეტექიმს, მოახდინოს დაავადებებზე ეჭვმიტანილი ღორების იზოლაცია. დაავადებულები გაანადგუროს უსისხლო მეთოდით რაიონის ვეტერინარული სამსახურთან შეთანხმებითა და ზედამხედველობით.

– რა უნდა გააკეთოს ფერმერებმა იმისთვის, რომ ღორი აფრიკული ცხოველებით არ დავადდეს?

–ეს არის ღონისძიებების მთელი ნუსხა, რომელსაც უნდა ატარებდეს გლეხი თუ ფერმერი ადგილობრივი ვეტერინარული სამსახურის მითითებით, თუ რაიონი გამოცხადებულია დაავადების კერად. გასატარებელი ღონისძიებები უნდა შედიოდეს იმ საკარანტინო წესებში, რომელიც მითითებულია აღნიშნული დაავადების დროს, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ობიექტის კარანტინის პირობებში მუშაობა. ვინაიდან საქართველოში დაფიქსირდა ღორის აფრიკული ჭირი, მოსახლეობას ვაფრთხილებთ, არანაირი ფორმით არ შეინახონ ღორის ხორცი.

– როგორ მოიქცნენ ფერმერები, რომელთა ღორებსაც ცხელება ჯერ არ შეხვედრიათ, თუმცა, სოფელში დაავადება გავრცელებულია?

ამ დაავადების გავრცელების გამო საქართველოში ღორის სულადობა საკმაოდ შემცირებულია,დღეს დარგის არსებობა-არარსებობის საკითხი, გადაშენების გზაზეა ან გადაშენდა არა მარტო შემოყვანილი, არამედ ადგილობრივი ენდემური ჯიშებიც.

სოფლის მეურნეაში დასაქმებულ ხალხს, თითქმის ყოველდღე უნდა ვაწვდიდეთ სათანადო ინფორმაციას მედიის საშუალებით. რეგიონებში უნდა არსებობდეს ძლიერი ვეტერინალურ-სანიტარული სამსახური, რომლის მუშაობის შედეგი უნდა აისახოს მოსახლეობაში ღორის სულადობის გაზრდით. არ დაგვიწყდეს, რომ საქართველოში 2008 წლამდე 600 ათასზე მეტი ღორი იყო და მაჩვენებელი დინამიკაში იზრდებოდა. დღეს ამ რაოდენობის 10 % -იც არ არის. არადა, ერთ-ერთი ცნობილი ვეტექიმი, პროფესორი ჯემალ ბაბაკიშვილი იტყოდა, აფრიკული ღორის ჭირი ისეთი დავადებაა, სანამ ბოლო ღორს არ გამოიყვანს საღორედან, არ გაჩერდებაო.

კორონავირუსი ახალი სასიკვდილო ვირუსი, რომელიც მსოფლიოს ედება

ჩვენს პლანეტას ახალი სასიკვდილო ვირუსი ემუქრება, რომელიც ჩინეთში გამოჩნდა. ეს თემა უკვე რამდენიმე დღეა ერთერთი ყველაზე განხილვადი სიახლე გახდა, რაც არ არის გასაკვირი, მაშინვე გვახსენდება მსგავსი ეპიდემია რომელმაც 2002 წელს ჩინეთის ერთ-ერთ პროვინციაში იჩინა თავი და 800 ადამიანი იმსხვერპლა. ამასთანავე, როგორც წესი ადამიანებს არ აქვთ იმუნიტეტი ახალ დაავადებებზე, ხოლო ვაქცინის შექმნა გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული. რუსეთში უკვე კრცელდება განცხადებები, რომ ვირუსი რეალურ საციცცხლო საფრთხეს წარმოადგენს.

დაავადებულთა წუხილი

2019 წლის დეკემბერში ვირუსი აღმოაჩინეს ჩინეთის 11 მილიონიან პროვინციის უსანის ცენტრში ხუბეიში. ახალი წლის პერიოდში ოცდაშვიდმა დაავადებულმა საავადმყოფოს დასახმარებლად მიმართა. 5 ივნვრისთვის დაავადებულთა რიცხვი 59 მდე გაიზარდა.

დაავადების გავრცელების კერად, აღმოჩენისთანავე ადგილობრივი ბაზარი დასახელეს, სადაც საქონლის ხორცთან ერთად ეგზოტიკური ზღვის პროდუქტებით ვაჭრობდნენ. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ქალაქში გადადგილება არ შეუზღუდავთ, რადგან ქალაქის ადმინისტრაცია არ ელოდა მსშტაბურ ეპიდემიას, მათ განაცხადეს, რომ ვირუსი აირ-წვეთოვანი გზით არ ვრცელდებოდა.

ამის შემდეგ, დაავდებულთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა ისევე როგორც ვირუსის გავრცელების არეალი. გარდა ჩინეთის დიდი ქალაქებისა, როგორიც არის შანხაი და ბეიჯინგი, ვირუსმა ტაილანდი, იაპონია, სამხრეთ კორეა და ამერიკის შეერთებული შტატებიც მოიცვა. 22 იანვარს დაავდებულთა რიცხვმა 440 მიაღწია, მათშორის არიან ექიმები, რომელთა მდგომარეობაც საგრძნობლად უარესდებოდა, ხოლო 9 დაავდებული დაიღუპა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და ჩინელი მეცნიერები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ სავარაუდო მიზეზად ველური ცხოველები შეიძლება დასახელდეს.

სპეციალისტები გამორიცხავენ დაავდებულთა რიცხვის სწრაფ ზრდას. ხოლო ლონდონის ინფექციური დაავდებების გლობალური ანალიზის ცენტრის მეცნიერები ვარაუდობენ, რომ პოტენციური დაავდებულთა რიცხვი შეიძლება გაიზარდოს 1700 მდე.

რისი გაგება შეძლეს ვირუსის შესახებ

ვირუსი სიმპტომებად სახელდებამაღალი ტემპერატურა, დაღლილობა, მშრალი ხველა და სუნთქვის გაძნელება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, რენდგენის დასხივების შედეგად ვლინდება ორივე ფილტვის ანთების ნიშნები, მაგრამ ამასთანავე კვლევების თანახმად დავადებეულთა გარკვეულ რიცხვს არ აღენიშნება მსგავსი სიმფტომები.

ჩინელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ დაავდების მიზეზი გახდა უკვე ცნობილი კორონოვირუსი. აღმოჩნდა რომ ახალ ვირუსს 2019 წლის კორონოვირუსის მსგავსი აგებულება აქვს და ანალოგიურად მოქმედებს, რაც მნიშნელოვან როლს შეასრულებს მის განკურნებაში. ასევე გვაცნობებენ, რომ ეს ვირუსი შედარებით მსუბუქია ნიშნებით ხასიათდება, როგორც ინფიცირების ასევე სიმფტომების სიმძიმის მიხედვით და სიკვდილიანობის კოეფიციენტით.

აგებულების მსგავსებამ მეცნიერებს მისცა საშუალება ევარაუდათ რომ გავრცელების წყარო ღამურა გახდა, რომელიც მრავალი კორონოვირუსის მატარებელი, რის შედეგადაც ერთერთმა დაავდებამ მუტაცია განიცდა და გადაეცა ადამიანს.

კორონოვირუსი- მოიცავს დაავდებათა ოჯახს, რომლითაც ავადდება ადამიანი, კატა, ძაღლი, მსხვილ რქოსანი საქონელი და ასევე ღორები ხოლო დაავდების სიმძიმე განისაზღვრება გავრცელების საშუალების და მუტაციის მიხედვით.

exppressnews.ge

სულთათანა

ლადო მექვაბიშვილის მოგონება



14 იანვარი ქართული თეატრის დღეა. რაც შეეხება ოზურგეთის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს, 152 წლისაა.

ქალაქ ოზურგეთში გაატარე სიყრმის წლები, ხელოვნებისადმი სიყვარულმა გძლია... აღნიშნულ თეატრში 14 წლიდან აიდგი ფეხი, არაერთი როლი განასახიერე სცენაზე, თუმცა მიღწეულით არ დაკმაყოფილდი და ახალი სივრცეებისაკენ დაიწყე მზერა. შემდგომში იყო თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი, ვარსკვლავის გახსნა, უდიდესი აღიარება და მაყურებელთა მხურვალე ემოციები. „ხელოვნებაა თავად უკვდავება“!. ისევე როგორც მას, არც შენ მიერ განსახიერებულ პერსონაჟებს არ უწერიათ სიკვდილი.

ჩემო ლადო, მინდა მოვიხსენიო ჩვენი დედმამიშვილები – დები ზინა, ვარა, რომლებიც შენთან ერთად განისვენებენ ზეციურ სასუფეველში.

შენი უსაყვარლესი და **ლამარა**.

შვილები: როლანდი, გია, ნატო; შვილიშვილები: ნინო, გიგი, ია, თეა, ცია, თიკა, გაგა; სიძე ამირან ბასილაძე; რძალი ლია ბოხუა; შვილთაშვილები, უახლოესი ნათესავები იუწყებიან **ციალა ჩავლეშვილის** გარდაცვალებას.

დაიკრძალა 26 იანვარს, ქ. ოზურგეთში (ექადია).

ქ. ოზურგეთის №1 საშუალო სკოლის 1972 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ ნატო, როლანდი, გია ჩავლეშვილებს დედის **ციალა ჩავლეშვილის** გარდაცვალებას.

სკანვორდი



პასუხები:

ხნოვანება – ბედნიერი; ქვეყანა აფრიკაში – ეგიპტე; გარეული ცხოველი – ირემი; ქვასროლია ბიჭი – ბაბილონელი; სასჯელი იარაღი – ალბერტი; ლიტერატურული ქანრი – ანტიკური; რიგელი დიდოსტატი – ალბერტ ეინშტაინი; ბოროგი – ბალეტი; რუსული ავტომობილი – ლადა; აღდგენა, განახლება – ალბერტ ეინშტაინი; ქალაქი კანადაში – ტორონტო; მე-2 ნოტი – რე; ჩქარი ნაბიჯით გადაადგილება – ალბერტ ეინშტაინი; თმის ბუნებრივი საღებავი – ალბერტ ეინშტაინი; მსახიობთა ერთობლიობა – ალბერტ ეინშტაინი; საზიდარი – ალბერტ ეინშტაინი; კურორტი შავიზღვისპირეთში – ალბერტ ეინშტაინი; სოციალური ქსელი – ალბერტ ეინშტაინი; ქვეყანა ბალტიისპირეთში – ალბერტ ეინშტაინი; დაბალი სუფრა – ალბერტ ეინშტაინი; სულელი – ალბერტ ეინშტაინი; სოფოკლეს დრამა – ალბერტ ეინშტაინი; ქალის სახელი – ალბერტ ეინშტაინი; კავშირი – ალბერტ ეინშტაინი; სოფელი ოზურგეთში – ალბერტ ეინშტაინი; საავიაციო გზავნილი – ალბერტ ეინშტაინი; ყველაზე გავრცელებული გვარი მსოფლიოში – ალბერტ ეინშტაინი; გაზაფხულის ყვავილი – ალბერტ ეინშტაინი; განთიადი – ნაღვინევი; ზუსტი მეცნიერება – ალბერტ ეინშტაინი; რაშიც მეგრელები გაძვრნენ – ალბერტ ეინშტაინ.

XIX საუკუნის 60-70-იანი წლების რეფორმები

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით



1864 წლის სასამართლო რეფორმა მხოლოდ 44 გუბერნიაზე გავრცელდა. რეფორმა არ შეხებია ბალტიისპირეთს, პოლონეთს, ბელორუსიას, ციმბირს, შუა აზიას, ევროპული რუსეთის ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონებს. რეფორმა ერთბაშად იმ 44 გუბერნიაშიც კი არ გატარებულა. 1866 წელს სასამართლო ოლქები მხოლოდ მოსკოვსა და პეტერბურგში შეიქმნა. 1962 წელს რეფორმა კიდევ 23 გუბერნიაზე გავრცელდა, ხოლო 44 გუბერნიაში იგი საბოლოოდ 1896 წელს დასრულდა.

1864 წლის სასამართლო რეფორმა მალე შეიზღუდა: 1.1871 წლის კანონით, პოლიტიკური საქმეების გამოძიების უფლება ჟანდარმერიას დაუბრუნდა; 2.1878 წლიდან პოლიტიკური საქმეების ნაწილი სასამართლო პალატების ნაცვლად სამხედრო სასამართლოებში იხილებოდა; 3.1872 წელს სენატში შეიქმნა „განსაკუთრებული თათბირი“, რომელსაც პოლიტიკურ საქმეებზე გამოჰქონდა განაჩენი; 4. 1889 წელს გაუქმდა მომრიგებელი სასამართლო, რომელიც მხოლოდ 1912 წელს აღდგა.

4. საშუალო განათლების სისტემის რეფორმა. 1864 წლის 28 ივლისს შეიქმნა სპეციალური კომიტეტი, რომელსაც დაწყებითი და საშუალო განათლების სისტემის რეფორმის პროექტი უნდა მოემზადებინა. 1864 წლის 14 ივლისს დამტკიცდა **„დაწყებითი სახალხო სკოლების დებულება"**“ დებულების მიხედვით, სკოლის გახსნის უფლება ჰქონდა როგორც კერძო პირს, ისე საზოგადოებრივ ორგანიზაციას. მაზრაში არსებულ დაწყებით სახალხო სკოლებს ხელმძღვანელობდა **მაზრის სასწავლო საბჭო,** ხოლო გუბერნიაში – **გუბერნიის სასწავლო საბჭო.** გუბერნიის სასწავლო საბჭოს თავმჯდომარე იყო ეპისკოპოსი, ხოლო ერთ-ერთი წევრი – გუბერნატორი. რეფორმის შემდეგ რუსეთის იმპერიაში დაწყებითი სახალხო სკოლების 4 ტიპი ჩამოყალიბდა.სკოლები გახსნეს კერძო პირებმა, სახალხო განათლების სამინისტრომ, ერობებმა და სამრევლო ეკლესიებმა.

1864 წლის 19 ნოემბერს დამტკიცდა **„გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების წესდება**.“გიმნაზიაშისწავლის ხანგრძლივობა 7 წელი იყო, პროგიმნაზიაში – 4 წელი. გიმნაზია და პროგიმნაზია საშუალო განათლების ძირითად რგოლს წარმოადგენდა. სწავლის უფლება ყველა წოდების წარმომადგენელს ჰქონდა. 1864 წლის რეფორმით, ადრე არსებული გიმნაზიები **კლასიკურ** და **რეალურ** გიმნაზიებად გაიყო. სწავლის ხანგრძლივობა ორივეში 7 წელი იყო. კლასიკური გიმნაზია უპირატესად ჰუმანიტარულ განათლებას აძლევდა. სწავლების საფუძველს წარმოადგენდა ბერძნული და ლათინური ენების შესწავლა. რეალურ გიმნაზიაში ძირითადად მათემატიკას და საბუნებისმეტყველო საგნებს ასწავლიდნენ, შესაბამისად, შემცირებული იყო ჰუმანიტარული საგნების სწავლება. კლასიკური გიმნაზიის კურსდამთავრებულს უფლება ჰქონდა გამოცდების გარეშე შესულიყო უნივერსიტეტში. რეალური გიმნაზიის კურსდამთავრებულის უნივერსიტეტში მიღება გართულებული იყო, ისინი ძირითადად უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში აგრძელებდნენ სწავლას.

ოთხწლიანი პროგიმნაზია არა მარტო სწავლის ხანგრძლივობით, არამედ პროგრამითაც გიმნაზიის 4 კლასს უტოლდებოდა, პროგიმნაზიის დასრულების შემდეგ მოსწავლეს შეეძლო სწავლა გიმნაზიის მეხუთე კლასიდან გაეგრძელებინა.

გიმნაზიაში სწავლის უფლება რომ ყველა წოდების წარმომადგენელმა მოიპოვა, ამან თავისი ასახვა ჰპოვა მოსწავლეთა სოციალურ შემადგენლობაზე. 1874 წელს რუსეთის იმპერიის კლასიკურ გიმნაზიებში მოსწავლეთა კონტინგენტის შემადგენლობა ასეთ სურათს იძლეოდა: **თავადაზნაურთა და მოხელეთა შვილები – 59%, ქალაქის ბურჟუაზიის ოჯახიდან გამოსულები – 28%, სასულიერო წოდებისწარმომადგენლები – 6%, გლეხის შვილები –5%, სხვა წოდების წარმომადგენლები – 2%.** ოდნავ განსხვავებული იყო რეალური სასწავლებლის მოსწავლეთა სოციალური შემადგენლობა: **თავადაზნაურთა შვილები – 53%, ბურჟუაზიის ოჯახებიდან გამოსულები –33%, სასულიერო წოდების წარმომადგენლები –3%, გლეხის შვილები – 7%, სხვა წოდების წარმომადგენლები – 4%.**

5. უნივერსიტეტების 1863 წლის წესდება. ალექსანდრ II-ს ტახტზე ასვლისთანავე გადაწყვეტილი ჰქონდა შეეცვალა 1835 წელს დამტკიცებული უნივერსიტეტების წესდება, თუმცა კომისია ახალი წესდების შემუშავების მიზნით მხოლოდ 1861 წლის ბოლოს შეიქმნა. 1862 წლის დამდეგს კომისიამ წესდების ახალი პროექტი შეიმუშავა, რომლის განხილვაში რუსი და უცხოელი პროფესორები მონაწილეობდნენ. 1863 წლის 18 ივლისს უნივერსიტეტების წესდების პროექტმა კანონის ძალა შეიძინა. ახალი წესდების მიხედვით, ყველა უნივერსიტეტში 4 ფაკულტეტი უნდა ყოფილიყო: **ისტორიულ-ფილოლოგიური, ფიზიკა-მათემატიკური, იურიდიული, სამედიცინო** (სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში არსებობდა მეხუთე ფაკულტეტიც – აღმოსავლეთმცოდნეობის). ახალი წესდების საფუძველზე, 1,5-ჯერ გაიზარდა პროფესორთა საშტატო ერთეულების ოდენობა, გაიხსნა ახალი კათედრები, პროგრამებში შეიტანეს ახალი საგნები. 1863 წლის 18 ივლისის წესდებით, უნივერსიტეტებს მიენიჭათ ფართო ავტონომია: უნივერსიტეტის **აკადემიური საბჭო** დამოუკიდებლად წყვეტდა სასწავლო, სამეცნიერო, ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხებს; დამოუკიდებლად ანიჭებდა სამეცნიერო ხარისხსა და წოდებას; ანაწილებდა სახელმწიფოსაგან მიღებულ ფინანსებს; ხსნიდა და აუქმებდა კათედრებს; უცხოეთში სტაჟირებაზე აგზავნიდა პროფესორებს; ცენზურასთან შეთანხმების გარეშე უცხოეთიდან იწერდა წიგნებს, ჟურნალებსა და გაზეთებს. უნივერსიტეტი, მთავრობისა და სახალხო განათლების სამინისტროსაგან დამოუკიდებლად ირჩევდა რექტორს, პრორექტორებს, დეკანებს, პროფესორებს. რექტორის, პრორექტორისა და დეკანის არჩევნებს ამტკიცებდა განათლების მინისტრი. სტუდენტები სწავლის დაწყების წინ ხელწერილს დებდნენ, რომ დაიცავდნენ უნივერსიტეტის წესდებას.

6. ცენზურის რეფორმა. ალექსანდრ II-მ ტახტზე ასვლისთანავე, 1855 წელს, გააუქმა ნიკოლაი I-ის მიერ 1848 წელს დამტკიცებული საცენზურო წესდება. 1857 წელს დაიწყო მუშაობა ახალ საცენზურო წესდებაზე, რომელიც საკმაოდ გაჭიანურდა. 1865 წლის 6 აპრილს ალექსანდრ II-მ დაამტკიცა „ბეჭვდითი სიტყვის დროებითი წესები“. ეს დროებითი წესები რუსეთში 40 წლის განმავლობაში მოქმედებდა და, ფაქტობრივად, წარმოადგენდა საცენზურო წესდებას. დროებითი წესდების მიხედვით: 1. ისეთ მასალაზე, რომლის მოცულობა არ აღემატებოდა 10 ნაბეჭდ გვერდს (თარგმანისათვის 20 ნაბეჭდ გვერდს) გაუქმდა წინასწარი ცენზურა; 2. წინასწარი ცენზურის გაუქმების სანაცვლოდ წიგნის, ჟურნალისა და გაზეთის გამომცემელი ვალდებული იყო წინასწარ შეეტანა გირაო 2.500 მანეთიდან 5.000 მანეთამდე; 3. ავტორი, რედაქტორი, გამომცემელი და წიგნის მაღაზიის მფლობელი ბეჭვდითი სიტყვის შესახებ დროებითი წესების დარღვევისათვის პასუხს სასამართლოს წინაშე აგებდნენ; 4. წესების დარღვევისათვის განსაზღვრული იყო ადმინისტრაციული სასჯელიც: გაზეთის, ჟურნალის, გამომცემლობის დახურვა და ნაბეჭდი პროდუქციის გაყიდვის აკრძალვა. ხელისუფლებას შეეძლო, ფულადი ჯარიმის გარდა, დროებით შეეჩერებინა ყოველგვარი გამოცემა ან საერთოდ შეეწყვიტა იგი.

7.სამხედრო რეფორმა. ყირიმის ომში განცდილი მარცხის შემდეგ არავის ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ რუსეთში ძირეული სამხედრო რეფორმა უნდა გატარებულიყო. სამხედრო რეფორმა რუსეთში 1861 წელს, სამხედრო მინისტრად გენერალური შტაბის აკადემიის პროფესორ დიმიტრი მილიუტინის(1816-1912) დანიშვნისთანავე, დაიწყო. მინისტრობის 20 წლის განმავლობაში დიმიტრი მილიუტინმა რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა, რომლებიც არმიისა და სამხედრო ფლოტის ყველა სფეროს შეეხო.

არმიის გაძლიერების უპირველეს საფუძველს დაკომპლექტების ახალი სისტემის შემოღება წარმოადგენდა. ევროპის ქვეყნების არმიები ამ დროისათვის უკვე საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ კანონის საფუძველზე კომპლექტდებოდა. რუსეთში ჯერ კიდევ მოქმედებდა პიოტრ I-ის მიერ შემოღებული არმიის შევსების სარეკრუტო სისტემა(ჯარში 25-წლიანი სამსახური), რაც ომის შემთხვევაში არმიის რაოდენობის მნიშვნელოვნად ზრდის საშუალებას გამორიცხავდა. 1874 წლის 1 იანვარს ალექსანდრ II-მ დაამტკიცა დიმიტრი მილიუტინის მიერ შემუშავებული „სამხედრო ვალდებულების წესდება“ და სპეციალური მანფესტიც გამოსცა. კანონის მიხედვით, რუსეთის იმპერიაში 4 თანრიგის ჯარი არსებობდა:

1. რეგულარული არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი;

2.ირეგულარული(არარეგულარული) ჯარი(კაზაკთა ჯარი);

3. სათადარიგო ჯარი;

4.სახალხო ლაშქარი.

სამხედრო ვალდებულება ვრცელდებოდა 20 წელს მიღწეულ ყოველ მამაკაცზე წოდების მიუხედავად. სახმელეთო ჯარში სავალდებულო სამსახურის ვადა 6 წლით განისაზღვრა. ექვსწლიანი სამხედრო სამსახურის შემდეგ დაწესდა თადარიგში ყოფნის ცხრაწლიანი ვადა, რომლის ამოწურვის შემდეგ მამაკაცი 40 წლის ასაკამდე სახალხო ლაშქარში ირიცხებოდა. სამხედრო-საზღვაო ფლოტში სავალდებულო სამსახურის ვადა 7 წლით განისაზღვრა, ხოლო თადარიგში ყოფნისა – 3 წლით. სამხედრო რეფორმის შემდეგ რუსეთის არმიის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა: 1874 წელს არმიაში გაიწვიეს 150.000 კაცი, 1880 წელს – 212.000, 1900 წელს – 315.000.

სავალდებული სამხედრო სამსახურის ვადა მნიშვნელოვნად მცირდებოდა განათლების ცენზის მიხედვით: დაწყებითი განათლების მქონენი 4 წელს მსახურობდნენ, საქალაქო სკოლების კურსდამთავრებულები – 3 წელს, გიმნაზიის კურსდამთავრებულები – 1,5 წელს, უმაღლესი განათლების მქონენი –0,5 წელს. სამხედრო სამსახურიდან საერთოდ თავისუფლდებოდნენ ყველა აღმსარებლობის სასულიერო პირები, ზოგიერთი რელიგიური სექტისა და ორგანიზაციის წევრები, ყაზახეთისა და შუა აზიის მოსახლეობა, ასევე ჩრდილო კავკასიისა და რუსეთის უკიდურესი ჩრდილოეთ რეგიონების ზოგიერთი ხალხი. ქართველებს რუსეთის არმიაში გაწვევისას რაიმე შეღავათი არ ჰქონიათ.

* * *

XIX საუკუნის 60-70-იანი წლების რეფორმები რუსეთის სახელმწიფო სისტემის გაუმჯობესებაგარდაქმნას ისახავდა მიზნად. ეს მიზანი ნაწილობრივ მიღწეული იქნა, თუმცა XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგიდან რუსეთში დაწყებულმა პოლიტიკურმა რეაქციამ რეფორმების გაგრძელება და გაღრმავება შეუძლებელი გახადა.

§2.სასამართლო რეფორმა საქართველოში (1867 წ.)

1842 წელს კავკასიის მთავარსარდალს საგანგებო ბრძანებით სასამართლოს რეფორმის გატარება დაევალა. ხანგრძლივი მუშაობის შედეგად რეფორმის პროექტი მომზადდა, მაგრამ მეფისნაცვალმა **მიხაილ ვორონცოვმა**(1844-1854) პროექტი დაიწუნა და ახალი პროექტის შემუშავება დაიწყო. საქმე გაჭიანურდა. კავკასიის ახალმა მეფისნაცვალმა **ალექსანდრ ბარი-ატინსკიმ** (1865-1862)უკვე არსებულ პროექტებს თავი მოუყარა და ახალზე მუშაობა დაიწყო. მეფისნაცვალმა ჩათვალა, რომ პროექტზე მუშაობა გაჭიანურდებოდა და ამიტომ სასამართლოსათვის დროებითი წესების შემუშავების ბრძანება გასცა. 1860 წლის ბოლოსათვის **„დროებითი წესების“** პროექტი უკვე მზად იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1864 წლის 20 ნოემბერს იმპერატორმა ალექსანდრ II-მ რუსეთის იმპერიის სასამართლო რეფორმის კანონპროექტი დაამტკიცა. რუსეთის გუბერნიებში რეფორმის გატარება ეტაპობრივად მიმდინარეობდა. კავკასიის მეფისნაცვალმა **მიხაილ რომანოვმა**(1862-1881), იმპერატორის ნების თანახმად, სამეფისნაცვლოში სასამართლო რეფორმის დაჩქარების ბრძანება გასცა. აღმოჩნდა, რომ 1864 წლის 20 ნოემბერს იმპერატორის მიერ დამტკიცებული სასამართლო სისტემის რეფორმის პროექტი, რომელმაც კანონის ძალა შეიძინა, კავკასიაში მექანიკურად ვერ იქნებოდა გადმოღებული. კავკასიაში სასამარ-თლოს რეფორმა უნდა დამყარებოდა სამ საკანონმდებლო აქტს: 1865 წლის 11 ოქტომბერს დამტკიცებულ დროებით წესებს; 1866 წლის 22 ნოემბრის დებულებას 1864 წლის 20 ნოემბერს დამტკიცებული სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კოდექსების ამოქმედების შესახებ; 1867 წლის 9 დეკემბრის ბრძანებას კავკასიის სამეფისნაცვლოში სასამართლო რეფორმის ამოქმედების შესახებ. მეფისნაცვლის აზრით, კავკასიის 4 გუბერნიაში(თბილისის, ქუთაისის, ერევნის, ბაქოს) ახალი სასამართლო დაწესებულებების შემოღება და ახალი კოდექსების ამოქმედება სავსებით შესაძლებელი იყო. ამასთან ერთად, დაღესტნის ოლქში, ქალაქ დერბენტში, ზაქათალის ოკრუგსა და სოხუმის ოკრუგში სასამართლო რეფორმების გატარება ნაავადრევად იქნა მიჩნეული. ამ ოთხ ადმინისტრაციულ ერთეულში, ისევე, როგორც თერგისა და ყუბანის ოლქებში, რეფორმა მოგვიანებით უნდა გატარებულიყო.

(გაგრძელება იქნება)

ვასტანგ გურული

(„საქართველოს ახალი ისტორია 1801-1918“ გვ. 139-141)

„პეპილოტა“ – ბავშვთა თეატრალური სტუდია

ოზურგეთის „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ბავშვთა თეატრალური სტუდია „პეპილოტა“ 1997 წელს შეიქმნა. იგი დააფუძნა ქალბატონმა **მარინა თოფურიამ** და დღემდე მისი კონსულტანტია. მოცემულ ეტაპზე თეატრალურ სტუდიას ხელმძღვანელობს **თათული მგელაძე,** მუსიკალური გამფორმებელი გახლავთ ირმა მანთიძე.

თეატრალური სტუდიის მიზანია - შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მოზარდების გამოვლენა და განვითარება, სოციალურად დაუცველი და შეზღუდული უნარის მქონე ბავშვების რეინტეგრაცია სტუდიის ყველა წრეში, მოზარდების მორალურ - ესთეტიკური ღირებულებებით აღზრდა. „პეპილოტაში“ ისწავლება ქართული ხალხური ცეკვები, სამეჯლისო და ლათინო-ამერიკული ცეკვები, ქართული საესტრადო სიმღერები, მეტყველება, სასცენო ოსტატობა.

ორგანიზაციაში, თეატრალურ სტუდიასთან ერთად ფუნქციონირებს და მთელი დატვირთვით მუშაობს ინტერაქტიური თეატრი.

წლების მანძილზე თეატრალური სტუდია „პეპილოტას“ მიერ ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო თეატრში წარმოდენილ იქნა სპექტაკლები: „პეპი გრძელი წინდა,“ „სახურავის ბანიადარი კარლსონი,“ „პატარა უფლისწული,“ „ბურატინო,“ „ მაკნატუნა,“ „მერი პოპინსი,“ „ მე ვხედავ მზეს’“„სისხლი,“ „ჭინჭრაქა,“ „ეზოში ავი ძაღლია,“ „ჩიპოლინოს თავგადასავალი,“ „სალამურას თავგადასავალი“ და მრავალი სხვ. საბავშვო თეატრში არა მხოლოდ სპექტაკლები, არამედ სხვადასხვა თემატური ღონისძიებებიც იმართება. რომელიც მოსწავლე ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.

„პეპილოტამ“ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა თავისი არსებობის სხვადასხვა პერიოდში: 1997 წელს ქ. თბილისში საბავშვო თეატრების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე სპექტაკლმა „პეპი გრძელი წინდა“ (რეჟისორი მარინა თოფურია) გრან პრი დაიმსახურა და 4 მთავარი დიპლომი. ამ სპექტაკლმა 10 სხვადასხვა კონკუსში გაიმარჯვა. თეატრალური სტუდიის ხელმძღვანელი მარინა თოფურია სპექტაკლისთვის „პეპი გრძელი წინდა“ დაჯილდოვდა საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისთვის. 1999 წელს ფირმა „იალონმა“ ეს სპექტაკლი დააჯილდოვა, როგორც წლის საუკეთესო სპექტაკლი.

1999 წელს რესპუბლიკურ კონკურსზე „გაზაფხულის ზარები“ ლაურეატის წოდება მიენიჭა სტუდიის აღსაზრდელს, სალომე მგელაძეს, ხოლო 2000 წელს რესპუბლიკურ კონკურსზე ‘ ჯადოსნური ხმები“ მე-3 ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა. ამავე კონკურსზე პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდნენ სტუდიის მოსწავლეები: სალომე კობალავა და იზი მდინარაძე, ხოლო თეატრალური სტუდიის ლათინური ცეკვების ჯგუფ „ჯაიფს“ სპეციალური დიპლომი მიენიჭა.

2015 წელს ქ. ფოთში ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე „თეთრი თოლია“ თეატრალურმა სტუდიამ აჩვენა სპექტაკლი „ბოშები,“ სპექტაკლი დაჯილდოვდა ნომინაციით: მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის გიორგი შავიშვილი და ეპიზოდური როლის საუკეთესო შესრულებისთვის ნიკა მელუა და ანა გორგაძე.

2016 წელს ქ. თბილისში მაჩაბელას სახელობის ბავშვთა და მოზარდთა თეატრალურ ფესტივალზე, ნაჩვენები იქნა სპექტალი „ეზოში ავი ძაღლია.“ სპექტაკლმა გაიმარჯვა ნომინაციით: ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის – ანა გორგაძე და მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის – ამიკო უნგიაძე.

თეატრალური სტუდია „პეპილოტა“ 1998- 1999 წწ-ში გახდა იაპონიის მოყვარულთა თეატრების საერთაშორისო ასოციაცია აიტა-იატა-ს წევრი.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წელს ფუნქციონირება დაიწყო ხელოვნების ახალმა მიმართულება ინტერაქტიულრა თეატრმა (ფორუმთეატრი). რომლის მიზანია სხვადასხვა სოციალური პრობლემების წარმოდგენა და საზოგადოების ჩართვა მათი მოგვარების პროცესში, ასევე კონკრეტული საკითხებისადმი არსებული დამოკიდებულების შეცვლა (ხშირ შემთხვევაში-სტერეოტიპულის). სცენარის შემუშავების პროცესში ჩართულია თანამშრომლები, მოზარდები. მუშავდება იდეა, სცენარი ეფუძნება საგანმანათლებლო და სოციალურ გამოწვევებს და იგება რეალურ ისტორიებზე. 2009 წლიდან 2019 წლამდე ინტერაქტიურ თეატრში დაიდგა თერთმეტი სპექტაკლი. სპექტაკლები ნაჩვენები იქნა ოზურგეთის და გურიის სოფლების საჯარო სკოლებში.

2017 წელს ქ. თბილისში მაჩაბელის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა თეატრალურ ფესტივალზე, ნაჩვენები იქნა სპექტაკლი „სიბერე საამურია?!“ სპექტაკლის ყველა მონაწილე დაჯილდოვდა ნომინაციებით: როლის საუკეთესო შესრულებისთვის და ჟიურის სიმპათია-თიკო ქუტიძე.

2018 წელს ქ. ქობულეთში „არტ-ფესტივალი კოლხიდა“ ფესტივალზე ნაჩვენები იქნა სპექტაკლი „ამიტომ არ მჯერა თქვენი.“სპექტაკლმა გაიმარჯვა შემდეგ ნომინაციებში: აქტუალური სცენარის, საუკეთესო მუსიკალური გაფორმება, დრამატული როლის საუკეთესო შესრულებისთვის დაჯილდოვდა სამი მონაწილე – ამიკო კოპლატაძე, გიორგი რატიანი, მარიამ ტრაპაიძე.

2019 წელს ქ. თბილისში მაჩაბელის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა თეატრალურ ფესტივალზე, ნაჩვენები იქნა სპექტაკლი“რვას+1“ სპექტაკლმა გაიმარჯვა შემდეგი ნომინაციით: მთავარი და ეპიზოდური როლის საუკეთესო შესრულებისთვის დაჯილდოვდა ყველა მონაწილე, დიპლომით დაჯილდოვდა ინტერაქტიური სპექტაკლი და რეჟისორი თათული მგელაძე.

ოზურგეთის „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ბავშვთა თეატრალურ სტუდიას სამომავლოდ კვლავ საინტერესო სპექტაკლებისა და შემეცნებითი ხასიათის პროექტების განხორციელება აქვს დაგეგმილი. გვჯერა, რომ შემოქმედებითი ჯგუფი თავისი ჩვეული პასუხისმგებლობით ყველა დასახულ მიზანს საუკეთესოდ განახორციელებს.

ნინო კალანდაძე

მილოცვა

ჩემს საყვარელ ქორეოგრაფს,

კობა ღუნღუას

ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერებას თავის ლამაზ ოჯახთან ერთად!

ნანუჩი შამილოვი ოჯახით.

მოხსნის თუ არა გოდერძი მახარაძე ჯეიმს ემერის რეკორდს?

ალიონი. მოხსნის თუ არა ოზურგეთელი გოდერძი მახარაძე ამერიკელი ჯეიმს ემერის რეკორდს?

ოკეანისგაღმელმა ჯეიმს ემერმა, წვივებამდე წყალშიმდგომმა, 7 წუთსა და 57 წამში თავით ბურთი 1419-ჯერ აკენწლა. გინესის რეკორდსმენთაგან 12-13 წელია ეს რეკორდი ვერავინ დაამხო.

როგორც „ალიონთან“ საუბარში გოდერძი მახარაძემ აღნიშნა, ემერის რეკორდის მოხსნას იგი ამ ზაფხულს შეეცდება:

„ფენომენური შედეგია, მაგრამ შევეცდები მის გაუმჯობესებას. უკვე შევუდექი ვარჯიშს. ქობულეთელებმა გაიგეს ჩემი გადაწყვეტილების შესახებ და საასპარეზოდ ერთ-ერთ ხუთვარსკვლავიან სასტუმროში მიმიწვიეს შესაბამისი ანაზღაურებით. მაგრამ ჩემი, როგორც ოზურგეთელი კაცის, სურვილია, ეს რეკორდი მშობლიურ მუნიციპალიტეტში, კერძოდ ურეკში, „პარაგრაფში“ დავამყარო. ამის შესახებ უკვე ვაცნობე ადგილობრივ ხელისუფლებას და იმედია, უარს არ მეტყვიან“

გოდერძი მახარაძეს, როგორც გინესის მრავალგზის რეკორდსმენს ჩვენი მკითხველის წინაშე განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. აფხაზეთის ომის მონაწილეს, ღირსების ორდენის კავალერს ცოტა ხნის წინათ, სპორტში მიღწეული განსაკუთრებული წარმატებისათვის, ცნობილ ვეტერან ქართველ ფეხბურთელ ვლადიმერ ბარქაიასთან ერთად, მიენიჭა ფაზისის სახალხო აკადემიის აკადემიკოსის წოდება.

ბავშვთა განვითარების ცენტრი „პინოქიო“
ინდივიდუალური განვითარების პროგრამით
მის: ქ. ოზურგეთი გურიის ქ. №5

7 დღის ამინდის პროგნოზი

27 იანვარი ორშაბათი	28 იანვარი სამშაბათი	29 იანვარი ოთხშაბათი	30 იანვარი ხუთშაბათი	31 იანვარი პარასკევი	1 თებერვალი შაბათი	2 თებერვალი კვირა
მზე, ღრუბელი	ღრუბელი	წვიმა	მზე, ღრუბელი	წვიმა	მზე, ღრუბელი	წვიმა
+3+9	+5+10	+3+8	+3+11	+3+8	+4+7	+4+9